№ 839 პარასკევი, 11 ივნისი. 1896—1899 პარასკევი, 11 ივნისი. № 839

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა

...ლის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთ... მიჰმართავენ რედაქციის დილი-... 3 საათამდე და საღამოს 6—7 ...ნ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიაში.

...ედ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

...რის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
...ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ... ერთის წლით 6 მან., ...
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გაგსნილი ქართველ მგზავრთათვის

მორთული ოთახები
„აბაშა"

ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულია და მოხერხებულ ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უვლის აგჭალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი სამაგალითოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

დავშთები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10—3)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

სტამბა ტელეფონი 648.

ორთქლით მომუშავე სტამბა
ექვთიმე ი. ხელაძისა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახლ. შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

ტელეფონი 648. სტამბა

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე ...ბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ...ტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი ...მ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით ...ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ...ლობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ...ანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ...ათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ ...ифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—36)

მკურნალთ და ამბულატორია
ზ. თოფურიასი
ქუთაისში.

...ურნალოში 50 საწოლია ავად-...ფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-... შინაგანისა, ნერვების, საქირურ-...თვალისა და დედათა ავადმყო-...

ფიზიკის ...

ავადმყოფობას და სიფილისს ზ. ქ. ზერრაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

ფთიზისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო თვალების

კვირას, 13 მაისს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

„შუამავლისა"

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ადნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

დროებითი წესდება კავკასიის მხრის საქალაქო ადგილებში საბჭოებისა და რწმუნებულთა კრების შედგენის შესახებ.

ხელმწიფე იმპერატორმა 1899 წ. 15 მაისს, მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, უმაღლესად ჰბრძანა:

დროებითად, ვიდრე კანონდებულების მხრივ გადაისინჯებოდეს დადგენილებანი კავკასიის მხრის საქალაქო ადგილების საბჭოებისა და რწმუნებულთა კრებების შედგენის წეს-რიგი, დადგენილ იქმნას შემდეგი წესები:

1) კავკასიის მთავარ-მართებელს უფლება აქვს, თავისი ნებისამებრ, დაითხოვოს ქალაქის ხმოსნები, ანუ რწმუნებულნი.

2) თუ ასეთი დათხოვნისა და მთავარ-მართებლის მიერ სამაგიერო კაცთა დანიშვნის შემდეგ ხმოსანთა ანუ რწმუნებულთა რიცხვი აღმოჩნდა მათის კანონიერის რიცხვის ორ მესამედზე ნაკლები, მაშინ ეს რიცხვი შეივსება იმათგან, რომელნიც ხმოსნებად ანუ რწმუნებულებად ყოფილან უკანასკნელის ოთხის წლის განმავლობაში. თუ ამის შემდეგაც არ შესდგა კანონიერი რიცხვი, მაშინ მთავარ-მართებელს შეუძლიან მოახდინოს ახალი, ანუ დანიშნოს დამატებითი არჩევანი.

3) ქალაქის მოურავის ანუ მამასახლისის თანამდებობაზე, თუ მთავარ-მართებელი საჭიროდ დაინახავს, დაინიშნება ისეთი კაცი, რომელსაც ხმა აქვს ქალაქის არჩევნებზე—არჩევნების მოუხდენლადაც. ამ თანამდებობაზე მთავარ-მართებლის უფლებით საგუბერნიო და საოლქო ქალაქებში უნდა იქმნას დანიშნული, ხოლო სხვა ქალაქებში კი გუბერნატორისა ანუ ოლქის უფროსის უფლებით.

და 4) თუ ვინიცობაა საჭირო გახდა ქალაქის გამგეობიდან იმ თანამდებობის კაცის დაუყოვნებლივ დათხოვნა, რომელთა მოქმედობის მიმართულება სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნება მიჩნეული, ანუ საზოგადოებრივ საჭიროებისა და სარგებლობისათვის ცხადად შეუფერებელი გამოდგება, მთავარ-მართებელს ნება ეძლევა ამ განკარგულების 1—3 მუხლში მოხსენებული უფლებით ისარგებლოს ქალაქის თვით-მართველობათა თანამდებობის კაცთა შესახებ და არ ელოდოს იმ ვადის გასვლას, რა ვადითაც ისინი არიან არჩეულნი.

---

# ახალი ამბავი

† თავ. გიორგი ჩიჩუა. ჩვენს მკითხველებს მოეხსენება გუშინდელ გაზეთიდან, რომ ქ. ქუთაისში სრულებით უბრალო მიზეზით სასიკვდილოდ დაუჭრიათ თავ. გიორგი ჩიჩუა, რომელსაც სამი დღე უცოცხლნია, და ოთხშაბათ საღამოს გარდაცვლილა ს. თოფურიას საავადმყოფოში.

განსვენებული ეკუთვნოდა სამეგრელოს თავად-აზნაურობას; ჩიჩუას გვარეულობა სამეგრელოში ძველისძველ დროიდან არის ცნობილი. განსვენებული გიორგი ბუნებით ნიჭიერი კაცი იყო და რომ ამ დროს შესაფერი სწავლა-განათლება მიეღო, ეჭვი არ არის, იგი დიდ კვალს დააჩნევდა თავის ქვეყნის ცხოვრებას. აღზრდილი ძველებურ ოჯახში, იგი ვერ შეეფერა აწინდელს ცხოვრებას და ყმაწვილობითვე შეეშალა ნაბიჯი და

მრავალი უსიამოვნება სწვნია კიდეც.

როგორც მრავალს ჩვენში, განსვენებულსაც ვერ შეემაგრებინა თავი სიყმაწვილეში და ვითარცა კეთილშობილი თავზე ბუზსაც ვერ გაიფრენო, მაგრამ სასტიკმა ცხოვრებამ თავის მსვლელობაში მკაცრად გაათანასწორა გლეხი და თავადი და ბევრნი ვერ შეურიგდნენ და დღესაც ვერ შერიგებიან ამ ჭეშმარიტებას...

განსვენებულ გიორგის ამ ცამეტ-თოთხმეტი წლის წინედ რაღაც უბრალო და უმნიშვნელო მიზეზებისგამო შემოაკვდა ერთი ახალგაზდა კაცი მსხაკაძე და თვითონ მრავალი ხნის შემდეგ შეიქმნა ხანჯლის მსხვერპლი, ტყუილად კი არ ამბობს წმინდა სახარება: ვინც მახვილს აღიღებს მახვილითვე მოკვდებისო.

განსვენებული ზემოდ ხსენებული უბედური შემთხვევის გამო რუსეთს იქმნა გაგზავნილი, სადაც მალე მიიქცია ყურადღება ვითარცა ბუნებით ნიჭიერმა კაცმა, იქაურ მკვიდრთ შეასწავლა მეაბრეშუმეობა და სხვა სამეურნეო დარგი. სამიოდე წლის შემდეგ განსვენებულმა სრული თავისუფლება მოიპოვა და დაიბრუნა აზნაური ღირსებაც, მას შემდეგ იგი დანიშნულ იქმნა სოფლისწულთ მამულის მოურავად. საზოგადოდ, დიდის ხნის აღმა დაღმა ტრიალის შემდეგ, დაადგა გონებისა და დაწინაურების გზას, დაცოლშვილიანდა და ამ უკანასკნელ ხანებში ახლო მონაწილეობას ღებულობდა ყოველივე საზოგადო საქმეში სამეგრელოში და ზოგი საქმე კიდეც დაამკვიდრა და იმედიც იყო, რომ დღე დღეზე განსვენებული შეეწეოდა ყოველის თავის სახსარით საზოგადო საქმეთა დაწინაურებას, რადგან მაგისათვის დიდი ხალისი და სიყვარულიცა ჰქონდა, მაგრამ უზენაესის სასტიკმა კანონმა მას ბოლო მოუღო და ვერა დასცალდათო.

ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს!

*** **ჭურს დამთავრებულები სამასწავლებლო ინსტიტუტში.** წელს სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 21 მოწაფემ და მასწავლებლის უფლება მიენიჭათ. მათ შორის ქართველები სამი კაცია: აბრამაშვილი, ჯანდიერი და ნადირაძე.

*** **„კონკის“ საქმე ტფილისში.** ბ-ნ გუბერნატორს გადაუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ მთავარ-მართებელმა არ შეიწყნარა თქვენი და რობის შორის შეკრული პირობა, ვითარცა საზარალო ქალაქის მკვიდრთათვის და უკანონო ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდექით საქმის ხელ-ახლად გარჩევას და გამოიწვიეთ განცხადებებით მოიჯარადრენი და ვინც უკეთესს პირობას მისცემს ქალაქს იმას მიეცით კონკის საქმეო. ამრიგად ბ-ნი რობის ცდა და როგორც ისმის მრავალი „ხარჯი“ ტყუილ უბრალოდ ჩაივლის. ახიცაა!

*** **ახალციხე** აქაური ავი და კარგი. ახალციხის ძველი ნაწილი, რაბათი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქალაქისაგან მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული: გზები აქეთ არ არის კარგათ გაკეთებული და წყაროები ხომ სულ არ მოიპოვება, საქმე აქ ისე უბედურათ არის მოწყობილი, რომ ზამთარში მცხოვრებნი თოვლის წყალს სმენ.

ამავე ძველს ქალაქში, წმ. მარინეს ეკკლესიის გვერდით არსებობს სამრევლო სკოლა, სადაც 60-მდე ქართველ კათოლიკეთა შვილები სწავლობენ, აძღენივე მართლ-მადიდებელნი. სკოლის საქმე კარგათ მიდის, იმედი აქვთ, რომ სკოლას მალე თავის საკუთარ შენობას გაუკეთებენ, ამის ნატვრა ბევრს ალაგას იქმნა წარმოთქმული. წმ. მარინეს ეკკლესიის შესაკეთებლათ დანიშნულია საკმარისი ფული, ამის შეკეთების დროს იქმნება სკოლის სახლიც გააკეთონ.

ამას წინეთ აქ გარდაიცვალა პატივცემული ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი პ. ალუშოვი. ეს მოძღვარი ლათინის ტიბიკონზე იდგა და წირვა-ლოცვას ლათინურად ასრულებდა. დღემდე ამ ეკკლესიისთვის მოძღვარი არავინ არის დანიშნული, რომელსაც შეეძლება ლათინის ტიბიკონით წირვა ლოცვის აღსრულება.

ქართულ რუსული სამკითხველოც ამ ნაწილში არსებობს, ნელ-ნელა ხალხი კითხვას ეჩვევა, იმედია, რომ მომავალში უფრო განცხოველდება კითხვის სურვილი. ნამეტურ კითხვას ელტვის მოსწავლე თაობა.

***ფოთი.** ნავთსადგურის გამო. 7 ივნისს 5 საათზედ ჩამოვიდა კომისია, რომელიც პეტერბურგში შესდგა სხვა და სხვა სამინისტროს წარმომადგენელთაგან და რომელსაც ბ-ნ ნ. პ. ზაბუგინის თავმჯდომარეობით მინდობილი აქვს გამოკვლევა ნავთ სადგურის საქმეებისა. დილის 8 საათიდგან შეუდგა კომისია ნავთ-სადგურის გეგმისა და მისის მუშაობის განხილვას ქალაქის მოურავის ნ. ნიკოლაძის და ინჟენერ მეიერის თანადასწრებით. დაათვალიერეს ქალაქის ყველა ნაწილი და შემდეგ ისადილეს ინჟენერ მეიერის სახლში, საიდგანაც საღამოს 7 საათზედ გემით ბათუმს წავიდნენ. კომისია სულ 15 კაცისაგან შესდგებოდა.

*** **ს. ეწერი** (სამეგრელო). აბრეშუმის მოუსვლელობა და მასა ძაჩუჩა. ს. ეწერი მდებარეობს დ. სუჯუნის მახლობლად და ეკუთვნის ნაესაკოვის საზოგადოებას, შეიცავს ორს პატარა სამრევლოს; ეს სოფელი წინა ხანებში თავისი მოპირდაპირე ამხანაგ-სოფელს არ ჩამოუვარდებოდა არც ერთი სამეურნეო მოსავლით, რისთვისაც მცხოვრებნიც გაუჭირველად ცხოვრობდნენ; მაგრამ ამ ხუთიოდე წლის წინად ეს სოფელი თანდათან მიწის ნიადაგით დაიქვეითა, როგორც ეს სოფელი ისე ნაესაკოვის საზოგადოებაც და სრულიად ის სოფლებიც, რომლებიც მდებარეობს მდ. რიონის ნაპირას. რა არის ამის მიზეზი? მიზეზები ბევრია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი არის მდ. რიონის შეუბრალებლობა; როგორც ნაესაკოვის საზოგადოების მცხოვრებთ, ისე სუჯუნის საზოგადოებისასაც, გვაქვს საყანე ადგილები მდ. რიონის ნაპირას. საწყალი გლეხი მუშაობდა ამ ადგილებში, რადგან მიწის ნიადაგი კარგი იყო და პატრონს მოსავალს უხვად აძლევდა, რომლის საშუალებით ოჯახს ასაზრდოებდა, მტერს და მოყვარეს იმით პასუხს სცემდა და, რა საკითხავია, სახელმწიფო ხარჯს იმითი იხდიდა; მაგრამ 1895 წელს გადავიდა მდ. რიონი, აიხრა მის ახლო-მახლო ყველა სოფლები, წალეკა რაც გვებადა და ჩვენ დაგვტია ხელ ცარიელნი, ამნაირად უნაკლულო ცხოვრებას დაჩვეულნი, უეცრად ჩავცვივდით ნაკლულევანებაში, შემოგვაკლდა წინა წლების მომზადებული: პური, ღვინო, მჭადი და დავრჩით ულუკმოდ. რადგანაც ჩვენ აღარაფერი შეგვრჩა და მოკლებულნი ვიყავით ყოველივე საშუალებას „მკითხველთაც ეუწყებათ“ მამასახლისის წინამძღოლობით მივმართეთ ადგილობრივი უეზდის ნაჩალნიკს, რომელმაც კეთილ ინება და აღმოგვიჩინა მამობრივი შემწეობა და წარდგენა იქ სადაც ჯერ იყო, რომლის წარდგენით მივიღეთ ჩვენ საჩუქარი ფულები და სესხიც. ამის შემდეგ, რადგანაც მდ. რიონმა თავისი ჩვეულება აღარ დაიშალა და დაიწყო ყოველ თვეობით ნაპირებიდან გადმოსვლა, ამისათვის ჩვენ მეტი საშუალება აღარ გვქონდა და მივმართეთ ქალ-კაციანებ აბრეშუმის ჭიის მოვლას.

აბრეშუმის თესლი ჩვენში პირველი ხილი არ არის! მაგრამ დღემდე ქალების საქმე იყო და არა მამა-კაცების, იმდენს [illegible] აბრეშუმის თესლს [illegible] რამდენსაც უმამა-კაცოდ თვითონ მოუვლიდნენ, მაგრამ ჩვენ რადგანაც მდ. რიონმა ნება აღარ მოგვცა ხვნა თესვისა, როცა ეზოების თესვა დავამთავრეთ, ჩვენც მივყავით ხელი აბრეშუმის ჭიის მოვლას; გლეხი კაცები ნაცვლად ხვნა-თესვისა, ზოგი ფურცელს ჩხოტავდა, ზოგი ჩაფარს ღობავდა, ზოგს ფურცელიც არ ქონდა, ყიდულობდა და კიდევ საიდან დაქონდა ვინ იცის, ამნაირად [illegible] ჯაფაში იყვნენ კაცნი და ქალნი. წარსულ წლებში, რომელ ოჯახშიაც აბრეშუმის ჭიის მოვლა არ იხსენებოდა, მდგომარე წელს ერთი კარობკის ადგილზედ ორი-სამი კარობკა რვა-რვა მისხალიანი აბრეშუმის თესლი ჰქონდათ, ისეთი ოჯახი არ იყო არც აზნაურის და არც გლეხისა სადაც აბრეშუმის ჭიის მოვლა არ სუფევდა; ჯაფაკი არაფრად მიაჩნდათ ჩვენს მეაბრეშუმე ქალებს და კაცებს, რადგანაც სოფელში მითქმა-მოთქმა იყო დავარდნილი, ვითომც შავი პარკის აბრეშუმის თესლი აქვთ დასარიგებელი. გაუგებლად იქისა მართლა არის თუ არა შავი პარკის თესლი, ერთბაშად დაეტაცნენ და გამოსტაცეს კარობკები: ზოგმა ერთი, ზოგმა ორი, და ვისაც რამდენის ძოვია შეეძლო, მხოლოდ გამყიდველთ იმას ეკითხებოდნენ შავია თუ თეთრიო და ფასს ვილა ჩიოდა კარობკისა, თუმანსაც აღარ ითაკილებდნენ ოღონდ მიეცათ; გამყიდველიც ხალხს აჯერებდა, ნამდვილი ეს შავი პარკის თესლიაო და შავი პარკის ფუთი ასი მანეთიაო; ამის მიხედვით, რომელსაც სრულიად არ უნდოდა აბრეშუმის თესლის გამოტანა ფურცლის ნაკლულევანების გამო, იმან მოხსენებულნი პირებისგან გამოიტანა ახალი შავი პარკის მკეთებელი აბრეშუმის თესლი, იმის იმედით, რომ ერთი ფუთი შავი აბრეშუმის პარკი თუ ასი მანეთი ეღირებაო, ერთი კარობკიდან 400 — 500-ს მანეთს მაინც ავიღებო, მაგრამ ეს მოლოდინი და თესლის დამრიგებლის სიტყვა მალე გაცრუვდა, პარკი შავი არ შეიქმნა და ისეც კარგი იქმნებოდა, შავი პარკის ნაცვლად, თესლი კარგი გამომდგარიყო და თეთრი ან ყვითელფერის პარკი გაეკეთებინა. საუბედუროდ ეს თესლი პირველ ხანებში კარგი იყო, და ძლიერ საკმარისად გამრავლდა, მაგრამ შემდეგ 4 — ივნისსა (ჩვენებურად ეფი კა[illegible] სიხარულით შემაცქერალნი თავიანთი პატრონნი, უეცრად რაღაცა უნებურ მწუხარებას მისცა[illegible] ჭია, რომელიც საუცხოოდ [illegible] დილი იყო, ზოგს ადგილებში ერ[illegible]

თი პარკიც აღარ შეუმოსავს, პარკის კვთების დროზედ ერთბაშად დაიხოცა, ზოგს ადგილებში კი ერთი კარობკიდან ხუთი,—ათი და თუთხმეტი გირვანქაზედ აღარ აღუმატებია, პარკის გაკეთება და ისეც უვარგისი. ამ ნაირად ჩვენი მეაბრეშუმე ქალები დარჩნენ გულ დაწყვეტილნი; დარჩად მხოლოდ მოგებად, ის რომ თუთის ხეები, ხეებად და საფურცლედ გააფუჭეს, ვაზები, რომელიც იმავე ხეებზედვე ჰქონდათ აშვებული მაინც თავის-თავად სანახევროდ გამხმარიყო და ეხლა მოსალოდნელია სრულიად, გახმეს; ერთი სიტყვით ზარალი დიდი ვნახეთ, ისე რომ სულ მცირედ რომ ვსთქვათ, შვიდი რვა თუმნის ზარალი გვაქვს თითოეულ ოჯახს, მოგება კი არაფერი და შრომას კი ვილა აფასებს. სასურველია მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს „მდგომარე წელს რა გაეწყობა“ და მომავლისათვის ნებას არ მისცემდეს აბრეშუმის თესლის დარიგებას იმ მატყუარა ჩარჩებს, რომლებიც იაფ-ფასად ღებულობენ უვარგის აბრეშუმის თესლს და საწყალ, უსწავლელ, უმეცარ ხალხს სულს ყლეფენ და აძლევენ გამოუსადეგარ თესლს კარგის ფასად.

პ. ეწერელი.

*** **დ. ოჩამჩირე.** სალიტერატურო საღამო პუშკინის სახელზე. 26 მაისს ოჩამჩირის სასწავლებლის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო „საღამო“ ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო, სკოლის დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით. „საღამო“ დაიწყო 8 საათზე. პირველად ერთმა მოწაფემ წაიკითხა პუშკინის ლექსი „ძეგლი“ (Памятникъ) შემდეგ მასწავლებელმა ვ. მ. მოკლე წერილი პუშკინის ცხოვრების შესახებ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთებმა სთხოვეს სკოლის ზედამხედველს პუშკინის ბიოგრაფია ქართულად წაეკითხათ იმ უმრავლესობისათვის, რომლებმაც რუსული არ იცოდა, მაგრამ ზედამხედველმა არა სთქვა, მეშინიან სხვანაირ სახეს მისცემენ და დამაბეზღებენო. —უმრავლესობისთვის მაინც აუხსნელად დარჩა ვინ იყო და რა იყო პუშკინი. შემდეგ მოწაფეთა გუნდმა, რომელსაც განაგებდა სტუდ. გ. ზოხუბაია, მშვენივრად იმღერა: „Несжатая Полоса“ Лосточка“ და სხ. აგრეთვე მშვენივრად წაიკითხა ერთმა პატარა მოწაფემ „მოსკვა“ და მეორემ „Мальчикъ съ пальчикъ“ უკანასკნელად დადგმული იყო კ. მიტროვის 1 მოქ. ვოდევილი „Проучили“, რომელშიაც საკვირველი ნიჭი და დაკვირვება გამოიჩინა აფხაზის პატარა მოწაფე ჯოლარიამ, და შესაფერად სხვებმაც. საზოგადოება ძალიან ნასიამოვნები ღამის 12 საათზე დაიშალა გზაზე ბენგალის ცეცხლი და მაშხალები აცილებდა.

— **საგაჭრო ამხანაგობა.** ერთი სასიამოვნო ამბავიც: განზრახვა აქვთ კოოპერაციული ამხანაგობა შეადგინონ, რომელსაც აზრად ექნება სიმინდის ყიდვა და პირ-და-პირ საზღვარ გარეთ ზიდვა.

— **აბრეშუმის ჭიის მოყვანა** ამ წელს აფხაზეთშიც გავრცელდა, მაგრამ სამწუხაროდ უვარგისი თესლი ყოფილა დარიგებული და ბევრ ადგილას მთლად გაფუჭდა. მეორედ პარკს 7—8 ჰყიდულობენ სოფლის მეწვრიმალეები, როდესაც დარწმუნებული ვართ სხვაგან 15 16-დგან იყიდება. სასურველია, რომ გული არ აუცრუვონ ხალხს ამ კეთილ საქმეზე, ორივე ეს ნაკლი აცილებული იქნას.

მაშო თურქია.

*** **ს. ტყემლოვანა** (ზემო იმერეთი). **ამინდები.** აქეთ თითქმის სამი კვირა იყო გვალვა მაისში და გვენატრებოდა ზომიერი წვიმა და მართლაც მოვიდა წვიმაც, მაგრამ ერთი არაკისა არ იყოს, „ქაჩალმა თავი ჯერ არ მოიფხანავო და მერე სულ მოიგლიჯაო“ სწორედ რომ არის გავდა, აღარაფერი ემველარა, 2 ივნისს ისეთი დიდი კოკისპირული წვიმა მოვიდა და თან გამოურია ხოშკაკალა, მაგრამ საბედნიეროდ ვაკე ალაგებისათვის ზარალი არაფერი მიუცია.

— **ჭარნახული.** ჰქონახულს აქეთ კარგი პირი უჩანს, პურები და აგრეთვე სიმინდი და ღომიც, მაგრამ ვენახში კი კლავინდებურათ არ ასხია, ღვინოც კარგია. აქეთ ამ ახლო მახლო მეზობელ სოფლებში არის ყვავილი და წითელიც და რამოდენიმე გამოასალმა კიდეც წუთისოფელს. ერთი სიტყვით თუ ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია, ისევ მოიდგამს ფეხს როგორათაც დღეს არის და ყველას ამოგვწყვეტავს.

ნიკო გაჩეჩილაძე

## ორიოდე სიტყვა ქალის გამზითვების (გათხოვების) შესახებ.

უეჭველია, ყველა დაგვეთანხმება, რომ, როგორც წინეთ, ისე ეხლაც, ერთ უმთავრეს საგანს, ადამიანის ცხოვრებაში, წარმოადგენს გათხოვ-მოყვანა, რადგანაც ის, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ყველასათვის აუცილებელია. მაგრამ აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უმთავრეს საგანს უმთავრესი მავნე ჩვეულებაც მოსდევს. ეს მავნე ჩვეულება კი ქალის გამზითვება გახლავს, ე. ი. სათავით ქალის' მითხოვა კაცზედ.

ეს უმთავრესი მავნე ჩვეულება თან-და-თან დიდდება და ფართოვდება და ამ ბოლოს დროს, ჯადოს თილისმებით აღჭურვილმა და უჩინარის ტანისამოსით გამოკაზმულმა, უფრო მაგრათ გაიდგა ფესვები კაცთა-უმეცრებაში. ის დღეს აუწევარ ტვირთად გარდაქცევია ქვეყანას და იმათ წინ-მსვლელობას წამ-და-უწუმ წინ ეხლართება, ე. ი. აფერხებს. ეს ისეთი რამ გაზვიადებული, შეჩვეული ჭირება გახლავს, რომელიც სწავლა-განათლებასაც ვერ განუდევნია თავისგან და ყოველგან გზას აძლევს მას. ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ უწინარეს ყოვლისა სწავლა-განათლება მავნე ჩვეულებებს აღუდგა წინ. არ ყოფილა ისეთი ჩვეულება (მავნებელი), რომელზედაც იმას არ გაელაშქრებიოს, არ შებრძოლებოდეს და ადრე თუ გვიან არ შეემუსროს არ დაემორჩილებიოს ის. ვერ შეუმუსრავს, ვერ დაუმორჩილებია მხოლოდ ერთად-ერთი ზემოხსენებული მავნე ჩვეულება. არამც თუ არ შეუმუსრავს ის, არამედ არც გაულაშქრებია მასზედ. არ გაულაშქრებია არამც თუ იმიტომ, რომ ის დიდი რამ დევ გმირი ყოფილიყოს და შინებოდეს მასი, არამედ იმისთვის, რომ არ დაუნახავს, არ შეუმჩნევია მავნეთ. ვერ დაუნახავს იმიტომ, რომ ის უჩინარს ტანისამოსში არის გამოხვეული და ვერ შეუმჩნევია იმისთვის, რომ ის ჯადოს თილისმებით არის აჭურვილი. აი, სწორეთ, ამ უხილავი საშვალების ძალით შესკუპებია, ზემოხსენებული მავნე ჩვეულება, სწავლა განათლებას ზურგზედ და მისი სურვილისამებრ საითაც უნდა იქით აჭენებს.

ამისთვისაც არის, რომ ეს არასასურველი ჩვეულება თავისუფლად და ლაღათ ფართი ფურთობს, როგორც უსწავლელ და გაუნათლებელ ხალხში, ისე ნასწავლ და განათლებულ საზოგადოებაშიაც. სწორეთ საშიშარი გავლენა აქვს ხალხზედ ამ ჩვეულებას:.. ვინ მოსთვლის იმას, თუ რაოდენი უბედურება იბადება ამ ბრმა ჩვეულებისაგან!... მაგ. რამდენი ქალი გაუთხოვარი რჩება, რამდენი კაცი უცოლოთ ბერდება, რამდენი თავს იკლავს, რამდენი უკანონო შვილები ემატება ქვეყანას, რამდენ ახალ დაბადებულებს ჰკლავენ, რამდენი ცოლ-ქმრობიდან ითიშება, რამდენი რა საზიზღარ ხერხებს (ოინებს) ხმარობს, რომ ქვეყნის პირს (შარს) ასცდეს და ბუნების მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს და სხვა ათასი... ყველა ეს რის მიზეზის გამო?—რასაკვირველია, ზემოხსენებული ბრმა ჩვეულების გამო!!!... წინანდელი ცოლქმრობა ეხლა აღარ არის; იმან დიდი ხანია დაჰკარგა თავის მნიშვნელობა. წინანდელი ცოლქმრობის მნიშვნელობა და შეხედულება დღეს ვაჭრულმა მნიშვნელობამ და შეხედულებამ დაიპყრა! ესე იგი ეხლანდელი ქალის და კაცის შეერთება უფრო წარმოადგენს ვაჭრობას (ჩუბჩობას), ვინემ ცოლქმრობას და ამისათვისაც არის, რომ დღეს ხშირათ ცოლქმრობა, ერთი მათგანი თავის დანიშნულებას ვერ უსწორდება. ადამიანის ისეთი უძვირფასესი თვისებანი, როგორც არის ცოდნა-მიხდომა, კარგი ზნე-ხასიათი, მიმართულება და რიგიანი დიასახლისობა დიდი ხანია იცვლებოდა მარტო გარეგან შეხედულობაზე, სილამაზეზე და დღეს, როგორც ხედავთ, ამ უკანასკნელსაც გამოეშალა ფეხი!.. სილამაზეს ფულებმა დასძლია. ვისაც ბევრი ფულები აქვს მზითვათ, ეხლანდელ დროში, ის არის ლამაზი, ტანადი, ღვთიანი, მცოდნე, სინიდისიერი, კარგი დიასახლისი და ყველაფერი სიკეთე. ერთი სიტყვით სავსეა ყოველივე სანატრელი ღირსებაებით. ხოლო ვისაც ფულები არა აქვს მზითვათ, ისინი კი ვითომც დუხჭირიც არიან, კოჭლიც, ელამიც, გაუწრთვნელიც და აგრეთვე ყველაფერი სიავე. აი, უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც ქალები არ სცდილობენ კარგ დედა-ქალობაზე, სწავლა-განათლებაზე და აგრეთვე სხვა და სხვა სანატრელი ღირსებაების შეთვისებაზე...

ტ. ართმელაძე

(შემდეგი იქნება)

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ივნისი

**ხაბაროვსკი.** იუწყებიან, რომ იმ ძალ-მომრეობისათვის, რომელიც მისიონერებს მიაყენეს, ჩინეთი თანახმაა გიალოს საფრანგეთის სასარგებლოდ **1,200,000,** ტაელი.

**პარიჟი.** ვალდეკ-რუსსომ აცნობა ლუბეს, რომ მე, საუბედუროდ, ვერ ვიკისრებ კაბინეტის შედგენას, რადგანაც ყველა ამხანაგს ვერ მოუთანხმდიო.

**მადრიდი.** პალატამ შეიწყნარა ხელ-შეკრულება იმის შესახებ, რომ გერმანიას დაეთმოს კაროლინის, პალაოს და მარიანის კუნძულები.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ინგლისთან დასადებს სავაჭრო ხელ-შეკრულების კითხვის დროს ლაპარაკი ალიძრა სამოას შესახებ. შემდეგ რეიხსტაგი შეუდგა განხილვას კანონ პროექტისას ქარხნის მუშების დაცვის შესახებ. იმპერიის კანცლერი ამტკიცებდა, რომ პროექტი ახალს, მოულოდნელს არაფერს მოახდენსო. თუ სოციალისტებს ამ კანონის შემდეგი მავნებლად მიაჩნიათ, ადვილი გასაგებია. გაუგებარი იქმნება მხოლოდ, თუ სხვა დასებიც ამ კანონის წინაალმდეგ იმოქმედებენ. მუშათა შეერთება შეზღუდული არ იქნება, გაფიცვა და მუშაობის ალკვეთა შემდეგაც შესაძლებელი იქმნება, მაგრამ კანონმა ბოლო უნდა მოუღოს პროფესიანალურ წამქეზებელთა და აგიტატორთა მავნე მოქმედებასაო. სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ ამ კანონის შემოღება კიდევ იმიტომაა საჭირო, რათა გაქარწყლებულ იქმნას ხელოვნურად გავრცელებული შიში. კანცლერს იმედი აქვს, რომ კანონი ეხლა ან შემდეგ განხორციელებული იქმნება მუშათა სასარგებლოდ. პოსადოვსკიმ დაუმატა იმპერიის კანცლერის სიტყვას, რომ ის აზრი, ვითომ მთავრობას მხოლოდ ფორმალურად ჰსურს დაუტოვოს მუშებს კოალიციის უფლება, ნამდვილად-კი უნდა ჩამოართვას,—სიმართლე მოკლებულიაო. სოციალისტებს უნდათ გამოიყენონ ძალდატანება და მუქარა; მაგრამ ძალდატანება შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოს, რომელმაც ხელიდგან მახვილი არასოდეს არ უნდა გააგდოს. სოციალ-დემოკრატიაო, განაგრძო კანცლერმა,—არის სახელმწიფო სახელმწიფოში. იმათთან ბრძოლის დროს იმედი გვაქვს მოქალაქენი მხარს დაგვიჭერენ. ბებელმა პროექტს განსაკუთრებული კანონი უწოდა. ორატორმა მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ აწ არსებულ კანონების დროს მუშა სასტიკად ყოფილა დასჯილი. შემდეგი კამათი ხვალისათვის გადასდვეს.

**ლონდონი.** როგორც გონკონგის გუბერნატორი იუწყობა, იქ უკანასკნელ კვირას შავის ჭირით ავად გამხდარა 109 კაცი. გარდაცვლილა წინანდელი ავადმყოფი 117 კაცი.

8 ივნისი

**პარიზი.** რადიკალური გაზეთები აშკარად ბრალსა სდებენ მელინს და ამბობენ, იმან იმოქმედა დელომბრსა, გილენსა და კრანცზედ, რომ ვალდეკ-რუსსოს კამბინაცია არ მოხერხებულიყოო სოციალისტები მელინის ყოფა-ქცევას „დალატს" უწოდებენ. უმრავლესობა გაზეთებისა იმასა ჰფიქრობს, რომ პუანკარე ხელ-ახლა იქმნება მიწვეული ელისეის სასახლეში.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმში შეტანილ იქმნა წინადადება კაროლინის, მარიინის და პალაოსის კუნძულების შეძენის შესახებ.

**ვენა.** იუწყებიან, რომ იმპერატორი ცოტა ხანში სრულიად განიკურნებაო.

**ბელგრადი.** საზღვარზედ მშვიდობიანობაა. სერბიის კომისარი საზღვარზედ წავიდა, სადაც მას ოსმალეთის კომისარი დაჰხვდა. ორივენი პირველ დაწყებით გამოძიებას შეუდგნენ.

**პარიზი.** ხმა დადის, რომ ლუბეს აზრადა აქვს ბურჟუას მიანდოს კაბინეტის შედგენაო.

## რედაქციისაგან

**სურამში** მიშას. თქვენი წერილი სამთა ძმათა დავიდარაბის შესახებ ვერ იბეჭდება.

**რქვიაში** იპოლიტეს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**ჩოხატაურში** ფორცხმელს. თქვენი წერილი «ბარიშნებისა» უწესრიგობაზე არ იბეჭდება.

**ქვიშხეთში** კავთურის პირელს. თქვენი წერილი დიახაც საყურადღებოა, მაგრამ ვერ ვბეჭდავთ, რადგან ჩვენ არა გვსურს ორ დაწესებულებათა შორის რაიმე შეცილება და უსიამოვნება მოხდეს, ჩვენთვის ორივე მხარე სასულიერო და საერო სკოლები სასარგებლოა.

**ნიგოითში** მგზავრს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია. რაც შეეხება ეკკლესიის საქმეს კარგი იქნება, რომ ყოვლად-სამღვდელოს შეატყობინებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. ეკკლესიის დასაკუთრება არც ბატონებს და არც გლეხებს შეუძლიანთ.

## განცხადებანი

გაზეთ „კავკასის" კანტორაში

ისყიდება

რუსული ახალი წიგნი

**ნორ-ქალაქ**

(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.

**ფასი 1 მან.,** გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.

(20—18)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,**
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.**

(100—32)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

для самообразованія

УШ-й г. изд. **МІРЪ БОЖІЙ** УШ-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Рипитау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Бранлта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкоа. «Александръ I и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейнав статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В. я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив -доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржившицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ горосa Россіи на годъ | 8 руб |
| Безъ доставки на годъ | 7 » |
| За границу на годъ | 10 » |

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | | по третямъ года: | |
|---|---|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода | 4 р. | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; | |
| За границу | 5 р | въ январѣ | 3 р |
| Безъ доставки по соглашенію конторой | | » маѣ | 3 р. |
| | | » сентябрѣ | 2 р. |
| | | За границу: въ январѣ | 4 » |
| | | » » » маѣ | 3 » |
| | | » » » сентябрѣ | 3 » |

Адресъ: С-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Юня 1899 г. სტ. „ფნ. ფურც.") გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი მ. ბუნია